ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6896455

ნომერი: AR11015982

თარიღი : 14.02.2024

გაცემის თარიღი : 21.02.2024

გაცნობის თარიღი : 21.02.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მურღულია პ/ნ 01024005288
- წინამძღვრიშვილის ქ. 96

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 14 თებერვალს № AR11015982 განცხადებით მომართა ირაკლი მურღულიამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 18

ნოემბრის №5690245 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებით №01.11.12.022.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 31 დეკემბრის №5751838 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 05 თებერვლის №6871070 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა: 18658.7 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად: 10447.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად: 1659.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 2317.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 2277.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 1791.6 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა დამხმარე ფართობი: 165.7 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 25 იანვარს №AR11012363 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2024 წლის 05 თებერვლის №6871070 ბრძანებით ჩანაცვლებულ) -2 და -1 სართულის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნულ გეგმებზე დატანილ ავტოსადგომებზე ფართობები არ არის დატანილი ინდივიდუალურად. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -2 და -1 სართულის გეგმები შეადარა შეთანხმებულ (სამსახურის 2024 წლის 05 თებერვლის №6871070 ბრძანებით ჩანაცვლებულ) გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, -2 და -1 სართულის გეგმებზე დატანილ ავტოსადგომებზე ფართობების ინდივიდუალურად დატანა არ იწვევს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობის ცვლილებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2024 წლის 05 თებერვლის №6871070 ბრძანებით ჩანაცვლებული) -2 და -1 სართულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი -2 და -1 სართულის გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 ნოემბრის №5690245 და 2024 წლის 05 თებერვლის №6871070 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.